

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲓ.

ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘᲗ ᲓᲘᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲦᲬᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲐᲖᲠᲓᲝᲛᲐ. ᲛᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ ᲑᲔᲠᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲠᲝᲓᲘ ᲒᲐᲘᲝᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲐᲮ ᲗᲘᲗᲝᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ.

ᲐᲘ ᲖᲔᲜᲘᲙᲐᲚ-ᲐᲛᲬᲧᲝᲑᲗᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲕᲠᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲐ. ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ. Მ. ᲙᲐᲘᲨᲐᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲣᲜᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲐ. ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲗᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡᲗᲐᲜ. მᲘᲡᲘᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ Ზ. თᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲡᲝ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ. ᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲛᲠᲬᲔᲣᲚᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. Ზ. თᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ. ᲝᲥᲠᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲗᲐ ᲐᲫᲚᲘᲗ, ᲐᲛᲓᲝᲜᲘᲗ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ ᲖᲔᲘᲜᲙᲐᲚ-ᲐᲛᲬᲧᲝᲑᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ): Მ. ᲙᲐᲘᲨᲐᲣᲠᲘ, Ზ. თᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ Რ. ᲣᲡᲢᲘᲐᲜᲘᲪᲘ. ᲤᲝᲢᲝ Ბ. ᲓᲐᲓᲔᲕᲐᲫᲘᲡᲘᲡ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ—ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐᲛ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲥᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲗᲝᲛᲑᲚᲘᲕ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲜᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ნ. ᲙᲐᲡᲘᲠᲐᲫᲔ), ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ 1.500 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲔ-9 ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ (ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Შ. ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ვ. ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ), 2.550 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲛᲔ-9 ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ (ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Ა. ᲑᲐᲖᲐᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ვ. ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ), 2.550 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲛᲔ-9 ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ (ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Ა. ᲑᲐᲖᲐᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ა. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ) ᲓᲐ 1.050 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲛᲐᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲡᲐ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲙᲝᲨᲝᲠᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲮᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ს. ᲗᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ).

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲣᲗᲕᲜᲐᲗ: 1.100 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘ — ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ (ᲣᲤᲠᲝᲡᲘ გ. ᲙᲣᲞᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ზ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ) ᲓᲐ 800 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ (ᲣᲤᲠᲝᲡᲘ Ა. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ს. ᲭᲐᲛᲐᲫᲔ).

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲜᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲭᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲣᲗᲕᲜᲐᲗ: 1.900 ᲛᲐᲜᲗᲘᲗᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ.

ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲒᲜᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲛᲠᲗᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲜᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ნ. ᲒᲣᲜᲯᲐᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ო. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲫᲔ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲥᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲓᲜᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲙᲝᲨᲝᲠᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲮᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ს. ᲗᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ).

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲣᲗᲕᲜᲐᲗ: ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲛᲐᲜᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲡᲐ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲙᲝᲨᲝᲠᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲮᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ს. ᲗᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ).

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 112,1 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲘᲠᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 190 ᲪᲐᲚᲘ ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲝᲜᲘ, 159 ᲡᲔᲘᲤᲘ, 211 ᲪᲐᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲐᲯᲐ.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲘᲠᲩᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

Ს. ᲛᲔᲚᲥᲝᲕᲘᲐ,
ᲛᲣᲨᲐᲝᲠᲘ.

ᲡᲐᲭᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ "ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲬᲚᲘᲡ" ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲜᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲯᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ (1964 ᲬᲚᲘᲡ) ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ „ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ". ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲘᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲜᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ 8,8 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲔᲑᲓᲐ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲜᲐᲠᲯᲕᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲞᲘᲡᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲐᲖᲠᲓᲝᲛᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲕᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲒᲐᲜᲘᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ

ᲞᲐᲠᲗᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲗ...

ᲝᲠᲘ თვის წინათ, როცა ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კომუნისტები საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ, გულღიად, პრინციპულად განიხილეს პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობა.

მაშინაც აქ საქმეები ცუდად როდი მიდიოდა. მაგალითად, კრებამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ ამოცანას — სახელმწიფო გეგმები ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით და ამასთან გადამეტებითაც კი სრულდება. ამ მიღწევებში დიდია კომუნისტების წვლილი, რომლებიც ღირსეულად ამართლებენ თავიანთ ავანგარდულ როლს და შრომისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულების მისაბაძ მაგალითებს იძლევიან.

სხვაც ითქვა უკვე მოპოვებულ მიღწევებზე. მაგრამ განსაკუთრებული სკადაასი მაინც ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებზე გაიმართა. სადად შეაფასეს კომუნისტებმა პარტიულ და სამეურნეო მუშაობაში დღემდე არსებული ნაკლოვანებები, ამასთან ბევრი საქმიანი წინადადება შეიტანეს.

ამ წინადადებებმა და კრიტიკულმა შენიშვნებმა ასახვა ჰპოვეს კრების მიერ მიღებულ ღონისძიებებში, რომელთა განხორციელება ახლად არჩეულ პარტიულ ბიუროს დაევალა.

პარტბიურო კი თავისი შემადგენლობით მართლაც ახალია, განახლებულია. მისი ოთხი წევრი წელს პირველად არის არჩეული. თვით პარტბიუროს მდივანი ამირან დოლაბერიძეც, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტია და ამასთან ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილედ მუშაობს, ახლად არჩეულია.

მომავალი მოღვაწეობის ბევრი პრაქტიკული ამოცანა განუსაზღვრეს კომუნისტებმა პარტბიუროს. მაგრამ მთავარი, რასაც ისინი მოითხოვდნენ, წარმოების განუხრელი განვითარებისათვის ზრუნვაა.

პარტიულმა კრებამ, კერძოდ, მოითხოვა ჩამორჩენილი უბნების წინწამოწევა, ახალი მანქანების საცდელი ნიმუშების დროულად გამოშვების უზრუნველყოფა და ამ მიზნით წარმოების ყოველმხრივ მომზადება.

წარმოების სწორედ ეს მთავარი საკითხები გახდა მსჯელობის საგნად საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ გამართულ პირველსავე დღა პარტიულ კრებაზე. აქ კონკრეტულად განიხილეს მიმდინარე წლის ცხრა თვის შუამავის შედეგები და მეოთხე კვარტალის ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების, წარმოების კულტურის ამაღლების, ახალი მანქანების საცდელი ნიმუშების ვადაზე გამოშვების საკითხებს.

კრებამ საჭირო ღონისძიებები დასახა და ადამიანებს, პირველ რიგში კომუნისტებს, დააკისრა პასუხისმგებლობა ამ ღონისძიებათა დროზე შესრულებისათვის. მეორე დღიდანვე საქმე ადგილიდან დაიძრა. კომუნისტებმა, ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა გ. ამყოლაძემ და პარტბიუროს წევრმა, მთავარმა ტექნოლოგმა ს. ჭელიძემ ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ უკვე №1 მექანიკურ საამქროში კომუნისტებმა გულსადგილად თქვეს, რომ საჭირო სამარჯვების უქონლობის გამო ზოგიერთი დეტალი ხელით მზადდება, მათვე წამოაყენეს წინადადებანი სამარჯვებითა და მჭრელი იარაღებით დროულად უზრუნველყოფისათვის, იერიშობანის მავნე პრაქტიკის აღკვეთისათვის.

კიდევ უფრო პრინციპულად განიხილეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში კომუნისტების, მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხი № 2 მექანიკური საამქროს პარტიულ კრებაზე. კომუნისტებმა ნ. კუპუხიძემ, ა. ტყეშელაშვილმა, გ. მაღლაკელიძემ, გ. არევაძემ მოითხოვეს ცალკეული კვანძების დამუშავების ოპერაციებზე მტკიცე კონტროლის დაწესება. კრებამ ერთსულოვნად მოიწონა წინადადება თვითეულ აწყობილ და საბოლოოდ გამოშვებულ ტრაქტორზე ან სხვა მანქანაზე მიწერილ იქნას ამწყობ-ზეინკლის სახელი და გვარი.

ეს წინადადება არა მარტო ამ საამქროში, არამედ ყველგან გაიზიარეს, და ახლა უკვე პრაქტიკულად დანერგილია ქარხანაში.

ოპერატიულად გამოეხმაურა პარტბიუროო კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებს იმაზე, რომ ქარხანაში მოისუნტებოდა საკიბიცეო მუშაობა, პოლიტიკურ სწავლებაში ჩაბმული არ იყვნენ უპარტიო აქტივისტები, მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა.

ახლა უკლებლივ ყველა 71 კომუნისტი სწავლების ამა თუ იმ ფორმაშია ჩაბმული, გაფართოვდა პარტიული პროპაგანდის სფერო. თეორიულ სემინარებსა და წრეებში 48 უპარტიო აქტივისტი მეცადინეობს. უდავოდ კარგად მოიქცა პარტბიუროო, პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის პირველ მეცადინეობათა შედეგები რომ შეაჯამოწმა და განიხილა.

წინათ ქარხანაში სულ 30 აგიტატორი ჰყავდათ. ახლად არჩეულმა პარტბიუროომ გადაახალისა და გაადიდა აგიტატორთა შემადგენლობა. ახლა აქ 42 აგიტატორი მუშაობს, ხოლო აგიტკოლექტივს ქარხნის დირექტორი ს. აბზიანიძე ხელმძღვანელობს. კვირაში ერთხელ ეწყობა აგიტატორთა სემინარები. ამას წინათ კი მათთან საინსტრუქტაჟო თათბირიც გამართეს. ამიტომაც არის, რომ ახლა აგიტატორები მასების შუაგულში ტრიალებენ, ყოველი ღონისძიებით ამაღლებენ მათს შრომითს აქტივობას.

ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში სკკპ წევრობის 11 კანდიდატია. პარტბიუროომ მიაღწია იმას, რომ ყველა მათგანს მიეცემული აქვს შესაფერი დავალება. ახალგაზრდა კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ პარტბიუროს სხდომებსა და პარტიული კრებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვაში. ამ დღეებში პარტბიუროს სხდომაზე განსახილველად ახალი ტექნიკის დანერგვის მდგომარეობის შესახებ საკითხი სხვებთან ერთად მოამზადეს სკკპ წევრობის კანდიდატებმა ოსტატა ა. ხუროძემ და უბნის უფროსმა ბ. იოსელიანმა.

პარტბიუროო ყოველდღიურად ზრუნავს იმისათვის, რომ კომუნისტები სამეთო, პრაქტიკულად ახორციელებდნენ საწესდებო მოთხოვნებს, სულ უფრო იზრდებოდეს მათი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა.

ის, რაც ახლად არჩეულმა პარტბიუროომ ამ მოკლე ხანში გააკეთა, მხოლოდ დასაწყისია, პირველი ნაბიჯებია. გასაკეთებელი ბევრია. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს — ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ თავიდანვე სწორი კურსი აიღო იმისათვის, რომ ᲛᲝᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ გაანხორციელოს კომუნისტთა განაწესი.

Შ. ᲯᲘᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ — თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგების რესპუბლიკის ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრში — გაიმართა გაერთიანებული საწარმოო-სამეცნიერო სესია. სესია მოიწვია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა სოფლისა და ხე-ტყის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან და ენერგეტიკული მრეწველობის საშეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების სოფლის ელექტრიფიკაციის სექციასთან ერთად. სესიაზე, რომელიც მიეძღვნა მეცხოველეობის საწარმოო პროცესების ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხებს, შეიკრიბნენ მეცხოველეობის რაიონების კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მექანიზატორები, ზოოტექნიკოსები, მეცნიერები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სესია გახსნა გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. მირიანაშვილმა.

მოხსენება — რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საწარმოო პროცესების კომპლექსური ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის მდგომარეობა და პერსპექტივები — გააკეთა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კან. დოდატმა ვ. მეტრეველმა.

ქართველმა მეცნიერებმა ბუქმნეს მთელი რიგი მანქანები და ავტომატები, რომელთა გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს ვაწარმოოთ მეცხოველეობის მეტი პროდუქტი შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯებით. ამასთან შრომის ნაყოფიერება 3-5-ჯერ დიდდება. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში, სადაც 140 ძროხა ყავთ, დასაქმებული იყო 25 კაცი, ხოლო შრომის ხელი რიგი პროცესების ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად დარჩა 8 კაცი. სამგორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში მანქანების დანერგვის შედეგად ერთი მუშა უელის 250-ზე მეტ სულ გასასუქებელ პირუტყვს.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთელ რიგ ფერმებში მექანიზებული და ავტომატიზებულია წყლით მომარაგება, საკვების მომზადება, წველა, სადგომების გაწმენდა ნაკელისაგან და სხვა საყოფაცხოვრებო. მაგრამ მექანიზაციის დონე დამაკმაყოფილებელი არ არის. უფრო მეტიც, — ზოგიერთი მეურნეობა ჯეროვნად არ იყენებს სამანქანო ტექნიკას. მაგალითად, სართიჭალის საბჭოთა მეურნეობის მუხროვანის განყოფილებაში საწველ მოედნებზე არ იყენებენ და დაშალეს „თევზიფხერისა“ და „ტახდემის“ ტიპის საწველი დანადგარები. გამარჯვების, გარდაბნის, ბლდასანის და ზოგიერთ სხვა საბჭოთა მეურნეობაში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მეცხოველეობის საწარმოო პროცესების ელექტრომექანიზაციის საკითხებს. ნელა იხერგება მეცნიერთა მიერ რეკომენდებული საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პროგრესული მეთოდები მეღორღობაში, მეცხვარეობაში, მეფრინველეობაში. არ ინერგება სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის მიერ შექმნილი საფრინველის ავტომატური დანადგარი და საფრინველე-ავტომატი სახორცე წიწილების გამოსაზრდელად.

აქტუალურ საკითხებზე, რომელთა გადაჭრა მკვეთრად გაადიდებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, შეამცირებს მათს თვითღირებულებას, ილაპარაკეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიების გამგეებმა, ზ. ოქროპირიძემ, რ. ლომაძემ, კ. მესხმა, გ. დროზდოვმა, რესპუბლიკური გაერთიანება „საკსოფტექნიკის“ მეცხოველეობის ელექტროფიკაციის სამმართველოს უფროსმა ა. რუხაძემ, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა კ. კოვზირიძემ, თელეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. დალაქიშვილმა, „საკსოფლპროექტის“ ინსტიტუტის სასოფლო ნაგებობათა ტიპობრივი დაპროექტების განყოფილების გამგემ თ. კახდელაძმ, საქართველოს სასოფლო ელექტრომშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა ს. ნადირაძემ, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მეფრინველეობის განყოფილების გამგემ ე. მებუკემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ ბ. ფალავანდიშვილმა, „საქსოფლტექნიკის“ გარდაბნის გაერთიანების მმართველმა ო. ჩხეკელმა, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სასწავლო ნაწილში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ზ. ხინთაძემ.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება და ურჩია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოებაში დანერგონ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსური ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის სიახლენი.

(საქ.ფილი).

ᲥᲝᲛᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲜᲐᲮᲕᲔᲠᲛᲝᲕᲐᲠᲛ ე�da ცაზე სწორედ ისეთი, როგორიც მინარეთების თავზე მინახავს. მხოლოდ კენტი ვარაკვლავი აკლდა.

აულში სიჩუმე დადიოდა ფეხაკრეფით. მოხუცს ეძინა

ხვადი ავაზები და მეწამული ჩამავალი მზე ესიზმრებოდა. ბიბლიურ წვერს ინგუშეთის ქარები უვარცხნიდნენ. თუმცა მოხუცი ყურანზეა გაზრდილი და ბიბლია რა მოსატანია, მე ის ასეთი წარმომიდგა: მაღალი, შუბლი, ხოჯა ნასრედინის თეთრი წვერი, დაღარული ნაოჭები... სწორედ ისეთი, როგორც მექადან გამოქცეული მუჰამედი, შუა საუკუნეების ირანელი და არაბი დიდოსტატების მიერ დახატული...

მოხუცს ცალი ფეხი ლეგენდაში უდგას, ცალითაც ამ ქვეყანაზე დადის...

ძაღლები აყეფდნენ. მოხუცს გაეღვიძა... ეს საქართველოდან მოსული სტუმარიაო, უთხრეს ჩემმა.

— „აა, მელქისტანიდან“ (ჩეჩნურად მელქისტანი-მზის ქვეყანას ნიშნავს თურმე, ასე ეძახიან საქართველოსაც) — თქვა მოხუცმა, და მე მომხედა. თითქოს წარსული მიმზერდა მოხუცის სახით. მისი თეთრი წვერი დათვლილი მწვერვალების ფონზე ჩემში იწვედა ბიბლიური მოციქულის ასოციაციას.

— სალამ ალეიქუმ! — ყრუდ წარმოთქვა მოხუცმა, — გამიგონია, საქრისტიანოშიც სტუმარზე იტყვიან, ღვთის კაციაო. დაჯექ, მაამადის კაცი ხარ ჩვენთვის.

სუფრის გაშლა ბრძანა. არყით სავსე მცირე ჯიხვის რქა, აირანი და არჩვის ხორცი მოართვეს სტუმარს...

ყურს ვუგდებდი ჩეჩნურ-ინგუშურ ფრაზებს. და აქა-იქ ქართული სიტყვებიც მომესმა: ადათი, ქორი, ლომი, სალამი, შამფური, ფანდური... სიტყვათა ნათესაობა მრავალმეტყველია... საოცარია სიტყვათა ბიოგრაფია.

მოხუცს ჰაჯი-შავდიქს ეძახიან. მუსლიმანურ სამყაროში ჰაჯს არქმევენ ისეთ კაცს, რომელიც ფეხით ჩასულა მექაში...

ჰო და, ამ მოხუცზეც ამბობენ, რომ იგი რკინის ჯოხითა და რკინის ქალამნებით მექაში ჩასულა, მისი ფეხსაცმლის ლანჩებზე გაცვეთილა თურმე ქვეყნის გზები... მაგრამ ეს ლეგენდაა, სიმართლე კი ის არის, რომ ბევრი უნახავს, ბევრი სიბრძნე დაუგროვებია და ახლა, სიბერის ჟამს, თავს მოხსნის მოხუცი სიბრძნის საკუთრებლეს ეკედათზე — თემის თავმესაყარზე და არიგებს როგორც ბაჯაღლო ოქროს, სიტყვას დაავდებს ხალხში, როგორც მთესველი ხნულში თესლს, და მერე ხალხის გულიდან ამოდის სიბრძნის ხე...

კიდევ ამბობენ, რომ ჰაჯი-შავდიქ ენაკვიმატ ხოჯა-ნასრედინს იცნობდაო, მაგრამ მე ვგონებ ესეც ლეგენდაა.

თვითონ ჰაჯი-შავდიქს რომ ჰკითხოთ, არც ახსოვს, მართლა იყო მექაში თუ ხალხის ნათქვამი დაიჯერა... შეიძლება იცნობდა ხოჯა-ნასრედინსაც, მაგრამ არ ახსოვს.

ერთი რამ კი ნამდვილად ახსოვს.

მაღლა მთებში მოვიდნენ ადამიანები, ნახევარმთვარე ჩამოიღეს ციდან და მრგვალი მთვარე დაკიდეს... უფსკრულიდან ამოიღეს მეწამული ვეებერთელა მზე, ავიდნენ ბეწლამ-კორტზე (ასე ეძახიან ჩაჩნეთში მყინვარწვერს), ზურგთ აიტანეს მზე ცაში და ვეებერთელა ჩაქუჩით მიაჭედეს ცის კაბადონს.

— იყავენ სინათლე! — თქვეს, და განათდა მთები.

მერე ის ჩაქუჩი დაუწყვიტეს ნამგალს და ისიც ცაში დაკიდეს... ჩეჩენს და ინგუშს მტრობის ხმალი წაართვეს და გუთანი და კალამი მისცეს ხელში...

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხეს მთებმა. დრომ უპასუხა:

...ყვითელმა მზემ ცა დაიპყრო. დაჭკნენ რტოები, გადახმა ბალახი, დაცვივდნენ ყვითელი ფოთლები. მთებს მკერდში ჩაურჭეს ხმლები დენიკინელებმა და მახვილის წვერით დაწერეს ქვებზე ბრძანება: „ყველა ინგუში დახოცეთ!“. ყეყეჩი ვენერალი დენიკინი ტრაბახობდა მთებს დავფშენი, ინგუშეთის მიწას მარტო ჩემი ნაბდით დავფარავ, ყველა ინგუშს ჩემს ერთ მუჭაში მოვაქცევო, ხარკს და ხარაჯას გადაგახდევინებთო ინგუშებმა უპასუხეს: — ჩვენ გვყავს სერგო ერეკინეში, ჩვენი მუშტები მან ფოლადად აქციაო. და დაიძრა მთელი ინგუშეთი, ინგუშეთის მთებმა ფეხი აიდგეს. მთიელებს მთა არ სჭირდებოდათ საფარად, თვითონ იყვნენ მთების ფარი. როგორც გადამხმარ ვულკანამაზი თეთრი ყვავილი, ისე ლამაზი იყო ამბოხებული ინგუშეთი. თეთრებმა გამოგზავნეს წერილი: ჩვენ მოვიყვანთ ტყვეის წვიმას და ცეცხლს წავუკიდებთ თქვენს სახლებს, ცოლებს ხარჭებად დავისვამთ, ჩვილებს აკვანში დავახრჩობთ, ისეთ დღეს დადგაყრით, რომ ინგუშეთში ინგუშეთს დაეძებდეს ინგუში, თუ წითელ ბოლშევიკს სერგო ერეკინეს არ მოგაცემთ. მთიელებმა ცივი უარი შეუთვალეს მტერს. დენიკინელებმა ერთად შეაკარეს დედამიწის ყველა ზარბაზანი და ინგუშეთს დაუშინეს: თქვენს მთებს დავამსხვრევთ ან თქვენს სისხლში ჩავძირავთ მყინვარს, და უპასუხა ინგუშთა ჯამაათმა: — ჩვენ ძმათა მხოცველები არა ვართ. წინაპრის დაუწერეთ კანონი-ადათი წმიდათა-წმიდაა ჩვენთვის. სერგო ჩვენი ძმაა და სტუმარი. ინგუში მტრის ხელში არ ჩაადგეს სტუმარი.

— ჰეი, ინგუშნო! — თქვეს მოხუცებმა, — ვისაც ღონე გერჩინთ, აიღეთ თოფი და ხმალი და დაიცავით სერგო ერეკინეში — ყველა ღარიბის ძმა. და მოისხა ხმალი, ხანჯალი და თოფი ინგუშეთის მთებმა და ეკვეთნენ მტერს. მათთან იყო მათი ძმა სერგო ერეკინეში. მერე თურმე სერგო ნართებს ძმად გაეფიცა და ლეგენდებში დაემალა სიკვდილს.

მოხუცს არ ახსოვს, თვითონ შეთხზა ეს ლეგენდები თუ ხალხში გაიგონა.

ხალხი ამბობს, რომ ეს ლეგენდები ჰაჯი-შავდიქმა შეთხზა... ხალხმა უკეთ იცის.

ფანდური დადუმდა.

ვერ გავიგე, მოხუცს ჩაეძინა თუ ლეგენდაში გამეპარა.

მე ვტოვებდი ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებს. მთები დუმდნენ და სიზმრაში თუ ლეგენდაში გადასულ ჰაჯი-შავდიქს ესმოდა როგორ ღრიალებდნენ ხვადი ავაზები.

ᲕᲚ. ᲐᲚᲤᲔᲜᲘᲫᲔ.
ᲩᲔᲩᲜᲔᲗ-ᲘᲜᲒᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდები მონდომებით შრომობენ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ შვიდწლედის მეექვსე წელი, შრომით ასახელონ მშობლიური საწარმო. **ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ:** ქარხნის მოწინავე ახალგაზრდების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — ზეინკალი თ. ბიჩინაშვილი, ელექტრომემონტაჟე ნ. შუბლაძე, ზეინკალი რ. ბერაძე, ელექტრომემონტაჟე ჯ. ბარნოვა, ზეინკალი ა. ბერაძე და ელექტრომემონტაჟე ს. ხაჭიევა.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲙᲣᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲑᲘᲜᲓᲘ ჩამოწვა. მთელი დღის შრომის შემდეგ წალენჯიხის რაიონის ჯგალის მ. კვარაცხელიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები შინ ბრუნდებოდნენ. საკოლმეურნეო საქმის გულშემატკივარი მშრომელები გზაში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. კოლმეურნეობის წევრების ამ საუბარს ჩვენც შევესწარით. მათ ერთი რამ აწუხებდათ. სოფელი ჯგალი ითვლება კვარაცხელიას ჯიშის ძროხის სამშობლოდ. ეს ჯიში წინათ ცნობილი იყო რესპუბლიკის გარეთაც. კვარაცხელიას ჯიშის ძროხა იძლეოდა საუკეთესო ხორცსა და რძეს. სოფელი ჯგალიცა და წალენჯიხის რაიონიც ამით ამაყობდა. ახლა აქაური მეცხოველეები გულნატკენი არიან. შრომობენ, მაგრამ შედეგი სახარბიელო როდია.

— ამ რამდენიმე წლის წინათ სპეციალურად შესწავლილ იქნა კვარაცხელიას ჯიშის **ბირუტყვის ავ-კარგიანობა.** გვეგონა აღადგენდნენ ძველად ცნობილ ჯიშს, მაგრამ ამაოდ, — ამბობდა ერთი.

— **ისიც ვიცი,** რომ აქაურმა ძროხამ საშუალოდ წელიწადში 1.500 კილოგრამი რძე მოგვცა და თანაც ცხიმიანობა 4,5 პროცენტი იყო. მაგრამ ამ ჯიშს გასავრცელებლად ვინ ფიქრობს? — ჩაერთა საუბარში მეორე.

სოფელ ჯგალის კოლმეურნეობის ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡᲐᲨᲘ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲓᲔᲜᲔ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ველ-მინდვრები უხვმოსავლიანია. აქ შეიძლება მოვიყვანოთ სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, საგრძნობლად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ყველაც აღდგეს ძროხის ცნობილი ჯიში.

მაგრამ, როცა ახლოს გავეცანით კოლმეურნეობის ეკონომიკას, ვესაუბრეთ იმ ადამიანებს, რომელთა ხელით იქმნება საკოლმეურნეო ხვავი, დავრწმუნდით, რომ კოლმეურნეობაში არსებულ რეზერვებს სათანადოდ ვერ იყენებენ.

კოლმეურნეობის მესვეურებმა ასეთი მაჩვენებლები ჩაგვაწერინეს:

— წელს კოლმეურნეობამ ათ თვეში აწარმოვა 80,9 ცენტნერი ხორცი და ამით გეგმა მხოლოდ 50,6 პროცენტით შეასრულა.

— რძე?

— ერთ საფურაკე ძროხაზე 500 ლიტრი.

ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲫᲘᲡ ᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲔᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲦᲘᲠᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲣᲚᲘ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲮᲡᲜᲘᲗ ᲐᲛᲐᲡ? — ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲒᲘᲠᲩᲔᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲣᲚᲘ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲜᲓᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲘᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲣᲚᲘ.

— ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔ ᲓᲐᲜᲓᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

მსოფლიო ამ დღეებში

მოსკოველი მოსწავლეები ამერიკაში გაფრინდნენ

17 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდნენ მოსკოველი მოსწავლეები ირა ტოლსტიკოვა და იურა პოპოვი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საბავშვო ტელეპროგრამის „დისკავერის“ („აღმოჩენა“) კინოგადაღებაში. „დისკავერის“ პროგრამას ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსკოველი პიონერების ყოფნის შესახებ მოამზადებს ტელეკომპანია „ეი-ბი-სი“ ახალი ამბების სააგენტოსთან თანამშრომლობით. ეს გადაცემა განგრძობა იქნება ამავე სახელწოდების ტელეფილმისა მოსკოველ მოსწავლეებზე, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში გადაიღეს მოსკოვში და თებერვალ-მარტში წარმატებით გადასცეს ამერიკის ტელევიზიით.

ირა ტოლსტიკოვა და იურა პოპოვი რამდენიმე დღეს დაპყოფენ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში, ინახულებენ ისტორიულ ადგილებს, დაათვალიერებენ პარკებს, სკოლებსა და მუზეუმებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრენის წინ ირა ტოლსტიკოვამ და იურა პოპოვმა, როგორც „დიდებმა“, ინტერვიუ მისცეს ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტს. მათ განაცხადეს: „იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი გამგზავრება ხელს შეუწყობს სრულ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსწავლეებს შორის მეგობრობის განმტკიცებას“.

ინგლისელი კომუნისტები მოითხოვენ

ლონდონი, 21 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ვ. ჩუსკინი“ გვატყობინებს: გუშინ ლონდონის სენტ-პანკრასის რაიონის მუნიციპალიტეტის დარბაზი მორთული იყო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ლოზუნგებითა და წითელი ალმებით. ახლობით ადამიანი მოვიდა აქ ინგლისის დედაქალაქის კომუნისტთა ორგანიზაციის ტრადიციულ მიტინგზე. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

თავის მოხსენებაში ჯონ გოლანი შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებს და კომპარტიის პოზიციას ლეიბორისტული მთავრობის მიმართ. ინგლისის კომუნისტები და მოსახლეობის მთელი პროგრესული ფენები არ უნდა იყვნენ გულგრილი მეთვალყურენი იმისა, რაც ინგლისში ხდება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ და მივესალმებით ლეიბორისტული მთავრობის პროგრესულ ღონისძიებებს, აღნიშნა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, ამავე დროს ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ მთავრობაზე და მივაღწიოთ ინგლისის ახლანდელი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის ძირეულ შეცვლას.

ჯონ გოლანმა გადაჭრით გააკრიტიკა ახლანდელი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთელი რიგი ასპექტები. მქუხარე ტაში გაისმა დარბაზში, როცა მან თქვა: „ჩვენ არ გვსურს რაიმე საერთო გვქონდეს მრავალმხრივი ატომური ძალების საერთო ბაზასთან მის ახლანდელ ან სხვა რომელიმე ფორმით“. ორატორმა მოითხოვა აგრეთვე ბოლო მოეღოს ბინძურ კოლონიურ ომებს.

არგენტინის კომპარტია ლეგალურ მდგომარეობაში

ბუენოს-აირესი, 20 ნოემბერი. (საკადესი). კვლავ გაიხსნა და ნორმალურად მუშაობს არგენტინის კომუნისტური პარტიის შენობები. კომპარტიისა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციათა საქმიანობა აკრძალეს 1959 წლის იანვარში რეაქციული კანონის საფუძველზე.

ახლახან ეს რეაქციული კანონი გაუქმდა.

კანადის მოსახლეობა

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის კანადის მოსახლეობამ შეადგინა 19.861 ათასი კაცი.

ტოკიოს მოსახლეობა

ტოკიო. იაპონიის დედაქალაქის მოსახლეობამ, ტოკიოს პრეფექტურის სტატისტიკური ბიურომ 20 ნოემბრის ცნობით, 1964 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგინა 10.634.000 კაცს.

მიტინგი რომში

რომი, 20 ნოემბერი. (საკადესი). იტალიაში, რომელშიაც განიცადა „ეკონომიური სასწაული“, კვლავ აელიათ საცხოვრებლები, სკოლები, საავადმყოფოები, იზრდება უმუშევრობა, კერძოდ ახალგაზრდობაში, განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ. მან სიტყვა წარმოთქვა რომში სან-ჯოვანის მოედანზე გამართულ მიტინგზე, სადაც შეიკრიბა 250 ათასზე მეტი კაცი.

ამ მიტინგით კომუნისტური პარტია ამთავრებს კამპანიას, რომელიც მან დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ 22 ნოემბერს იტალიაში გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები.

ლუიჯი ლონგომ ხაზი გაუსვა, რომ ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა სრული დასაქმების უზრუნველყოფა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა, შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური წყობილების დროს, სწორედ ისევე, როგორც მხოლოდ სოციალისტური წყობილების დროსაა შესაძლებელი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსობა, მონოპოლიათა ძალაუფლების ლიკვიდაცია.

ჩვენ ვიბრძვით სოციალისტური წყობის დამყარებისათვის, თქვა ლონგომ, სოციალური უსამართლობის აღმოფხვრისა და იმისათვის, რომ თითოეულ მოქალაქეს უზრუნველყოფილი ჰქონდეს უაღრესად ფართო პოლიტიკური თავისუფლება. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა ლონგომ, რომ იტალია უნდა დაადგეს სოციალიზმის გზას და ამასთან უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული თავისებურებებითა და ტრადიციებით.

ლუიჯი ლონგომ აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მმართველმა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიამ და მისმა მოკავშირეებმა მკვეთრი ანტიკომუნისტური კამპანია გაიჩაღეს. მაგრამ ეს კამპანია, თქვა მან, ჩაიფუშა, რადგან მეტად აშკარაა ცდა, რომ ანტიკომუნისტური კვამლის ფარდით დაფარონ იმ პოლიტიკის მარცხი, რომელსაც ახორციელებს მთავრობის პარტიების კოალიცია ქრისტიანი დემოკრატების მეთაურობით.

უთანგზმოებათა ნიშნით

ბონი, 21 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ა. ტუპაევი იუწყება:

ნატოს გენერალური მდივანი ბრიუიო, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ბონში, ორ დღეს აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ ერჰარდთან და დასავლეთ გერმანიის მთავრობის მინისტრებთან შრედერთან, ჰასელთან, კრონესთან და დალგრიუნთან. მოლაპარაკების შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში არ არის აღნიშნული, თუ რა კონკრეტული საკითხები განხილეს.

მაგრამ, როგორც ადგილობრივი მიმომხილველები აღნიშნავენ, ბრიუიოს ვიზიტის დროს პირველ ადგილზე იყო მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები და მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ნატოში მისი მონაწილეობის, უწინარეს ყოვლისა საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მწვავე წინააღმდეგობათა შედეგად. ამასთანავე, მოლაპარაკების მონაწილეებმა განიხილეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემები, გერმანიის საკითხი, „ნატოს რეფორმის“ განხორციელების შესაძლებლობანი და მზადება ნატოს საბჭოს სესიისათვის, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში გაიმართება პარიზში.

მოლაპარაკების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ნატოს გენერალურმა მდივანმა ბრიუიომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბონს „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი“ ბოლომდე მიიყვანოს მოლაპარაკება მრავალმხრივი ატომური ძალების შესახებ, ამასთან „არ დაკარგოს მეტისმეტად ბევრი დრო“.

მან აღიარა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში „ახლა საკმაოდ არის სიძნელეები“. უპასუხა რა ჟურნალისტთა შეკითხვებზე, ბრიუიო შეეხო აგრეთვე „ნატოს რეფორმას“. როგორც მან განაცხადა, სავსებით შესაძლებელია, რომ უახლოესი წლების მანძილზე ნატოში მოხდეს „გარკვეული ცვლილებანი“.

უ ტანის განცხადება

ნიუ-იორკი, 21 ნოემბერი (საკადესი). უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე ბელგიელი პარაშუტისტების გადაყვანის შესახებ ამაღლების კუნძულზე ატლანტის ოკეანეში, გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გუშინ განაცხადა, ეს ამბავი ვიცი ჯერჯერობით მხოლოდ სააგენტოების ინფორმაციიდან და არ მიმიღია ოფიციალური ცნობებიო. გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყოველი სიტუაცია, რომელიც საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას ემუქრება უნდა განიხილოს, წესდების დებულებების თანახმად, უშიშროების საბჭომ. ყოველ სხვა კურსს მოჰყვება არასასურველი შედეგები“.

უ ტანმა დასძინა, ჯერჯერობით არ მქონია, არავითარი ოფიციალური კონტაქტი შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებითიო.

დაიხურა „კოლომბოს გეგმის“ კომიტეტის სესია

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საკადესი). ლონდონში დამთავრდა მე-16 სესია „კოლომბოს გეგმის“ საკონსულტაციო კომიტეტისა — ორგანიზაციისა, რომელიც განაგებს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკის საკითხებს.

ეს ორგანიზაცია, რომელიც 1950 წელს შეიქმნა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის ბაზაზე, ამჟამად აერთიანებს 22 ქვეყანას, მათ შორის ზოგიერთ დიდ კაპიტალისტურ ქვეყანასაც. „კოლომბოს გეგმა“ ხელს უწყობს ინგლისისა და სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების გავლენის გაძლიერებას სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

სესიაზე მთავარი ყურადღება დაუთმეს იმ მნიშვნელოვან სიძნელეებს, რომლებსაც სუსტად განვითარებული ქვეყნები კლავ განიცდიან ეკონომიურ განვითარებაში.

სესიაზე გამოსვლებში სუსტად განვითარებული ქვეყნების წარმომადგენელნი აშკარად აღნიშნავდნენ, რომ არ არიან კმაყოფილნი დახმარებით, რომელსაც დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან იღებდნენ. მაგალითად, ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განვითარებული ქვეყნების დახმარება, სრულიადაც არ იყო საკმარისი და დანაპირების მხოლოდ 60-70 პროცენტს შეადგენდა. სესხთა მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ეძლევათ ძვირ პირობებით, წლიური 5-6 პროცენტის ანგარიშით.

შემთხვევითი როდია, რომ ინდონეზიის დელეგატმა სესიის მონაწილეებს მოუწოდა უზრუნველყონ, რომ „კოლომბოს გეგმა“ შეესაბამებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაჭრობისა და განვითარების ქონფერენციის პრინციპებს.

დასკვნითს კომუნიკეში ნათქვამია, რომ სესიამ განიხილა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიური განვითარება გასული წლის მანძილზე და „კოლომბოს გეგმის“ მოქმედება. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება კიდევ ხუთი წლით განაგრძოს „კოლომბოს გეგმის“ მოქმედება.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ გაფრთხილებას იძლევა

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკადესი). ამერიკის გავლენიანი გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ხარდაკცია სტატიაში აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ პოლიტიკას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ.

„ჩვენ მიგვაჩნია და მრავალი წლის მანძილზე მიგვაჩნდა, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომ ამერიკელი ხალხი საკმაოდ სალად აზროვნებს და შეგნებული აქვს, რომ კომუნისტური ჩინეთი არსებობს და ყველაზე მართებულია ანგარიში გაუწიოს აუცილებლობას და დაეთანხმოს მის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საჭიროა სისწრაფე და გამბედობა ჩინეთის მიმართ ახალ პოლიტიკაზე გადასვლისას“ და წერს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა მთავრობამ არ შეცვალა კურსი „ამერიკის პრესტიჟი შეილახება...“

იაპონიის პრემიერ-მინისტრის გამოსვლა

ტოკიო, 21 ნოემბერი. (საკადესი). იაპონიის პარლამენტში, რომელშაც მუშაობა განაახლა ორდაღეგების შემდეგ, მთავრობის კურსი ჩამოაყალიბა პრემიერ-მინისტრმა სატომ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ თავის საგარეო პოლიტიკაში იაპონიის მთავრობა აქტიურად დაუჭერს მხარს მშვიდობას მთელ მსოფლიოში, ხოლო საშინაო პოლიტიკაში იბრძოლებს იაპონიის ეკონომიკის სტაბილური ზრდისათვის.

სატომ მხარი დაუჭირა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებას აზიის ქვეყნებთან.

პრემიერ-მინისტრი მიესალმა ხელშეკრულების დადებას ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ.

იაპონიის პრემიერმა მხარი დაუჭირა იაპონიის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკურ კურსს და ამავე დროს განაცხადა, რომ მთავრობის საგარეო პოლიტიკის საფუძველი კვლავ იქნება ის, რომ მხარს დაუჭერს და განამტკიცებს თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მან თქვა, რომ ხელშეკრულება უშიშროების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებთან იაპონიის საგარეო პოლიტიკის „ურყევ საფუძვლად“ რჩება.

26 ტომი გურუსი

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკადესი). მასალები უორენის საგამომძიებლო კომისიისა, რომელიც განსვენებულ პრეზიდენტ კენედის მოკვლის გარემოებებს იკვლევდა, 30 ნოემბერს გამოქვეყნდება. ეს მასალები, როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, შეადგენს 26 ტომს, რომელთა საერთო წონა 54 გირვანქაა. 26-ვე ტომი გასაყიდად გამოვა და მხოლოდ კომპლექტად გაიყიდება. ასეთი კომპლექტი 76 დოლარი ეღირება.

ინგლისელი ინჟინრები

ლონდონი, 21 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ვ. ჩუსკინი“ გვატყობინებს: გუშინ ლონდონის სენტ-პანკრასის რაიონის მუნიციპალიტეტის დარბაზი მორთული იყო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ლოზუნგებითა და წითელი ალმებით. ახლობით ადამიანი მოვიდა აქ ინგლისის დედაქალაქის კომუნისტთა ორგანიზაციის ტრადიციულ მიტინგზე. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

თავის მოხსენებაში ჯონ გოლანი შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებს და კომპარტიის პოზიციას ლეიბორისტული მთავრობის მიმართ. ინგლისის კომუნისტები და მოსახლეობის მთელი პროგრესული ფენები არ უნდა იყვნენ გულგრილი მეთვალყურენი იმისა, რაც ინგლისში ხდება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ და მივესალმებით ლეიბორისტული მთავრობის პროგრესულ ღონისძიებებს, აღნიშნა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, ამავე დროს ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ მთავრობაზე და მივაღწიოთ ინგლისის ახლანდელი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის ძირეულ შეცვლას.

ჯონ გოლანმა გადაჭრით გააკრიტიკა ახლანდელი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთელი რიგი ასპექტები. მქუხარე ტაში გაისმა დარბაზში, როცა მან თქვა: „ჩვენ არ გვსურს რაიმე საერთო გვქონდეს მრავალმხრივი ატომური ძალების საერთო ბაზასთან მის ახლანდელ ან სხვა რომელიმე ფორმით“. ორატორმა მოითხოვა აგრეთვე ბოლო მოეღოს ბინძურ კოლონიურ ომებს.

ინგლისელი ინჟინრები

ლონდონი, 21 ნოემბერი. (საკადესი). ინგლისელ ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ელექტრიკოსებს, ტექნიკურ ინსტიტუტებს, ინჟინერიულ ფირმებს, ინჟინერიულ ფირმებთან ასოციაციებს, ინჟინერიულ ფირმებთან ასოციაციებთან ერთად

მოძმე ხალხთა ამაგდარი

ს. ავჩიანის დაბადების 60 წლისთავი

საქართველოში მცხოვრებ სომეხ მოღვაწეთა სახელოვანი წარმომადგენელია ქართული კულტურის გულითადი მოტრფიალე და პატივისმცემელი მწერალი სურენ გიორგის-ძე ავჩიანი, რომელსაც დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

მან თბილისში მიიღო სწავლა-განათლება და 1923 წლიდან სისტემატურად თანამშრომლობს ქართულსა და სომხურ ჟურნალ-გაზეთებში. ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როცა დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი, პოეტურ ნაწარმოებთა რიგები კრებული და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ გამოაქვეყნა 1959 წელს. ერთი წლის შემდეგ გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა მისივე მონოგრაფიები „ხელოსნობა და ხელოვნება“, „ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობა“.

ს. ავჩიანის დრამატურგიიდან კარგად ცნობილია პიესები „სოსი და ვარდითერი“, „ქორ-ოღლი“, „საიათნოვა“, „პელ-პული“ და მრავალი ორიგინალური ვოდევილი და მცირე ფორმის პიესა. მანვე სომხურად თარგმნა ქართული დრამატურგიის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორიც არის ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ა. ყაზბეგის მოტივებზე შექმნილი ს. შანშიაშვილის „არსენა“ და „ხევისბერი გოჩა“, ს. კლდიაშვილის „ვმირთა თაობა“, გ. ბაბაზოვის „იცკა რიჟინაშვილი“, მ. მრეველიშვილის „ზვავი“, მ. ბარათაშვილის „ჩვენი ყვავილეთი“, გ. ნახუცრიშვილის „ჯინჭრაა“ და ბევრი სხვა.

ამავდრამა მწერალმა ამავე დროს სომხურიდან ქართულად თარგმნა ოვ. თუმანიანის „გიქორის“ ხაფუძველზე შექმნილი ლ. ქიშეშიანის ბალეთივე სახელწოდების პიესა, ლ. მიქაელიანის ისტორიული დრამა „გოში“ და სხვა.

სამი ათეული წელია, რაც ს. ავჩიანის ორიგინალური და თარგმნილი პიესები ამდიდრებენ უმთავრესად თბილისის სტ. შაუნიანის სახელობის სომხური თეატრის, აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის მრავალი სახალხო თეატრისა და კლუბის რეპერტუარს.

„საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ს. ავჩიანმა ძალაოსტატურად თარგმნა სომხურად ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ და 19 ლექსი, ი. ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილი“ და რამდენიმე ლექსი, ა. წერეთლის „ნათელა“, „პატარა კახი“, „თორნიკე ერისთავი“, აგრეთვე ბუბუკის, ალ. ჯავჯავაძის, ი. ევდოშვილის, გ. ტაბიძის, ალ. აბაშელის, ი. გრიშაშვილის, ნ. ჩხიკვაძისა და სხვათა ლექსები, ალ. ყაზბეგის, „მამის მკვლელი“, ვ. ნინოშვილის „ქრისტინე“, ნ. ლომურის „ქაჯანა“, ვ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, ვ. ბარნოვის „ისნის ცისკარი“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, მ. ჯავახიშვილის, შ. არაგვისპირელის, შ. დადიანის, რ. ქორქიას და სხვათა მოთხრობები. მანვე სომხურიდან ქართულად თარგმნა ღ. ალაიანის, დ. დემირჭიანის, ავ. ისაააკიანის, ა. ვარდანიანის, გულზადიანის, მანველიანის, კურტიკიანის, არაქსისა და სხვათა მოთხრობები, საიათნოვას მ. ნალბანდიანის, ოვ. ოვანესიანის, ვ. ტარიანის, ე. ჩარენცის ოვ. შირაზისა და სხვათა ლექსები, ოვ. თუმანიანის პოემა „დავით სასუნელი“ (სასუნელი), ა. შირვანზადეს რომანი „ქაოსი“ (ი. ტატიშვილთან ერთად), რომელიც ძალიან პოპულარული გახდა ჩვენშიც, და სხვა.

გარდა ამისა, ს. ავჩიანი აქვეყნებს გამოკვლევებსა და წერილებს ქართულ და სომხურ ენებზე. მნიშვნელოვანია მისი ორიგინალური წერილები: „ქართული ლიტერატურა სომხურ ენაზე“, „შოთა რუსთაველი სომხურ ენაზე“ (ქართულად და სომხურად), „ნ. ბარათაშვილი და სომხური ლიტერატურა“, „აკაკი წერეთელი და სომხური სიხამდვილე“, „ავეტიკ ისაააკიანი“ (ქართულად), „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული თეატრი“, „საიათნოვა“, „ხაჩატურ აბოვიანი თბილისში“ და სხვ.

ამჟამად ს. ავჩიანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია. ჩვენ ვიცნობთ მის მიერ შესრულებულ ისეთ დიდგანაბან ბიბლიოგრაფიებს, როგორიც არის „ქართული ლიტერატურა სომხურ ენაზე“ (ქართულად), „სომხური ლიტერატურა ქართულ ენაზე“ (სომხურად) და გამოკვლევებს „საქართველო და ქართველი ხალხი სომხურ მხატვრულ ლიტერატურაში“ (ქართულად), „სომეთი და სომეხი ხალხი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ (სომხურად), „საფუძვლიან მონოგრაფიებს „სომხები საქართველოში“ და „ძველი თბილისი“ (ორივე სომხურ ენაზე), „პირველ კაკასიის ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობა“. (ქართულად).

მთელი 40 წლის მანძილზე ს. ავჩიანი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, ხელმძღვანელობს თბილისის სხვადასხვა ბიბლიოთეკას და კლუბებს, 1919 წლიდან სცენისმოყვარეობს და სუფლიორობს, რეჟისორობს და თეატრალურ კრიტიკოსად გვევლინება, წლების მანძილზე რ. აღაბაშიანთან ერთად იგი უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხურ სექციას, მუდმივად მონაწილეობს ჩვენი თეატრალური, პოლიტიკური და მეცნიერული საზოგადოების, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და რამდენიმე საოდაქციო კოლეგიის საქმიანობაში.

მოკრძალებული, მშვიდი და სათნო პიროვნებაა ქართული კულტურის გულისხმიერი მეგობარი სურენ ავჩიანი. ვუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, კვლავ ნაყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ი. მეგრელიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

აუსაზეთის მეგობრობის მაჯარეგელი

სოხუმის საოგურიდან გავიდა აფხაზეთის მეგობრობის პირველი მატარებელი, რომელიც 12 ვაგონისაგან შედგება. ოცდღიანი მგზავრობის მარშრუტია: სოხუმი — მინსკი — კიევი — რიგა — ტალინი — ვილნიუსი — ლენინგრადი — მოსკოვი და სხვა ქალაქები.

ტურისტები დაათვალიერებენ მოძმე რესპუბლიკების ქალაქების ღირსშესანიშნავ ადგილებს შეხვდებიან ამ ქალაქების მოწინავე ადამიანებს, მსახიობებს, მწერლებს. მათთვის გაიმართება მეგობრობის კონცერტები.

ნ. მიქაშავიძე.

სიახლეთა დაბადება

☐ **ბათუმი.** (საკ. კორ.). გოგებაშვილის ქუჩაზე გაიხსნა კულტურულ-საშეურნეო და ელექტროსაკონლის ახალი შენობა. მის თაროებზე გასაყიდად გამოფენილია სხვადასხვა ტიპის რადიომიმღები, იატაკსაწმენდი, საკერავი და საბეჭდი მანქანები, მინისა და ფაიფურის სხვადასხვა ჭურჭელი.

☐ **ყოველწლიურად** ფართოვდება საკოლმეურნეო ახალშენებლობანი გურჯაანის რაიონში. აშენდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა კოლმეურნეობის გამგეობის ახალი ადმინისტრაციული შენობა.

ს. შაქარაშვილი.

☐ **ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). სოფელი მოლითი საკმაოდ დაშორებულია რაიონის ცენტრს. აქ ახლახან დამთავრდა სასოფლო აფთიაქის ახალი შენობის მშენებლობა. აფთიაქმა უკვე დაიწყო მუშაობა.

ილგლიანი ბილეთები

☐ **რუსთავი.** (საკ. კორ.). ილგლიანი გამოდგა ოლიმპიური ლატარიის 08874 სერიის № 040 ბილეთი, რომლის მფლობელია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს ბარატი ანზორ ჯიოევი. ამ ბილეთს მოგებად ხვდა ნორვეგიაში საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებაზე წასვლის საგზური.

აღსანიშნავია, რომ ა. ჯიოევი არის მეორე თანრიგის სპორტსმენი კლასიკურ ჭიდაობაში.

☐ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). ქ. ზესტაფონში მცხოვრებმა ზ. ბიკვაიძემ ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის 1964 წლის მეათე გამოშვების 21940 სერიის № 381 ბილეთი, რომელმაც მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ახალი ათონის გზა.
ფოტო ა. არუთინოვისა.

ციკლონები მოძრაობენ

უკანასკნელ დღეებში ჩრდილოეთ ნახევარსფეროს არატროპიკული განედების ამინდზე მოქმედებდა სხვადასხვა ზომის, აქტიურობის დაახლოებით ათი ციკლონი. ზოგი დიდხანს რჩებოდა ერთ ადგილას, მეორენი კი დღე-ღამეში ათასზე მეტ კილომეტრს გადიოდნენ. ნორვეგიის ნაკლებად მოძრავ ციკლონს უნდა უმადლოდეს ევროპა თბილ ამინდებს. მისგან ქროდა დასავლეთის ქარი ჩრდილოეთისაკენ, რომლებსაც მატერიკისაკენ ატლანტიკის თბილი ჰაერი მიჰქონდა. ცა ხშირად იღრუბლებოდა, წვიმდა. ბრიტანეთის კუნძულებზე პოლანდიასა და ბელგიაში, დანიის სრუტეებში ქროდა საშტორმო ქარი.

ინგლისიდან ფოტოტელეგრაფით მიღებულ იქნა რეკა, სადაც აღნიშნული იყო ორმა ციკლონი ისლანდიაზე. ამერიკულმა რუკამაც დაამტკიცა ამის სიმართლე. ციკლონი ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ სინოპტიკოსები ბალტიისპირეთსა და ბულორუსიაში თავიანთ პროგნოზებში უკვე აღნიშნავენ წვიმას. და მართლაც, ღამით 17 ნოემბერს ციკლონი უკვე რიგაში იყო. ლატვიაში, ლატვიაში, ბელორუსიასა და უკრაინაში წვიმდა.

მოსალოდნელია, რომ თითქმის ყველგან ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში დაიწყება ტემპერატურის დაწევა მინუს 7-12 გრადუსამდე. ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, ცენტრალურ რაიონებში — ხოლ გრადუსამდე, დღისით კი ჰლუს სამ გრადუსამდე აიწევს. თოვას შეცვლის წვიმა, ავრცელდება უკრაინაში. ჩრდილოეთ კავკასიაშიც იწვიმებს.

სტიქიური უბედურება მოხდა ვიეტნამის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში, რაც კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვიეს. წყლის ძლიერმა ნაკადებმა რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს, უფრო მეტი უსახლკაროდ დარჩა.

გ. მიხაილოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის, ოდნისმოყვარენო!

ეს მოხდა 1947 წლის 27 იანვარს. პატრიცია მაგირს შეატყობინეს, რომ მისი სამშობო სასიკეთოდ დაიჭრა სასწავლო პლაზე. ქალიშვილმა სამედისწერო წერილი აიღო, სამზარეულოში გავიდა და რამდენჯერმე წაიკითხა. შემდეგ ფინჯანი ყავა ითხოვა. უფრო გვიან დიასახლისმა განაცხადა, რომ მისი შინამოსამსახურე დიდხანს და აპათიურად იცქირებოდა შორს და დროდადრო ამოქნარებდა. ბოლოს თავის ოთახში წავიდა და ლოგინში დაწვა. როცა პატრიციამ სამი დღეკამის განუწყვეტელი ძილის შემდეგ კიდევ არ გაიღვიძა, ექიმს გამოუძახეს. მან სცადა შეეწყვიტა ძილი შრკის საშუალებით. არა, პატრიცია არ იღვიძებდა! გადიოდა კვირეები. ქალიშვილს ეძინა. და აი უკვე 17 წელია პატრიცია მაგირს სძინავს ჩიკაგოს ერთერთ კლინიკაში. მძინარეს გარშემო განუწყვეტლივ მორგებენენ სპეციალისტი ექიმები.

ექიმთა კონგრესმა ნიუ-იორკში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ პრობლემას. ეკატერგიის ასეთი შემთხვევები, როგორიც დაემართა პატრიციას, რომელსაც 1964 წელს 36 წელი უსრულდება, ცოტა რიდი ყოფილა.

ლეტარგიის ხანგრძლივობის რეკორდი დაამყარა ნორვეგიელმა აუგუსტმა ლანგარდმა, 1919 წლის რვა თებერვალს მას მეგობრთა პატარა სოფელ ტორენსენში ჯანსაღი ბოგონა ეყოლა. მანამდე მთელი მისი სიცოცხლე სავსებით ნორმალურად მიმდინარეობდა. მაგრამ მშობიარობიდან 6 საათი და 28 წუთი რომ გავიდა, ახალგაზრდა დედას ჩასთვლიმა. ამის შემდეგ მალე მაგრად დაეძინა. ძილის დროს ყველა მოქმედებაზე აუგუსტას რეაგირება ავტომატური იყო. მისი ქცევა მოგვაგონებდა — სწორედ ეს იყო საუნაური! — მღვიძარი ადამიანის ქცევას. თუ, მაგალითად, ვინმე მას ხელს გაუწოდებდა, აუგუსტაც გაუწოდებდა ხელს, თითქოს უნდოდა მისალმებოდა თანამოსაუბრეს. საჭმელს რომ მიუტანდნენ, პირს გააღებდა. მაგრამ მტკივნეულ ჩხვლეტასა და დარტყმაზე რეაგირებას არ ახდენდა. ზოგჯერ ძალიან ცხელ საჭმელს მიუტანდნენ. აუგუსტა ჭამა. ... ლა მოქმედებაზე აუგუსტას რეაგირება ავ- ... ოცი წლით დაბერდა. ფიზიკური ძალე- ... ბის დაქვეითება გაცილებით უფრო სწრა- ... ფად მიმდინარეობდა, ვიდრე ჩვეულებ- ... რივად ხდება. კიდევ ხუთ წელიწადს ... იცოცხლა. ამ ხნის განმავლობაში ჯან- ... ღონით საკვე ქალი, როგორიც იგი ჯერ ... კიდევ 22 წლის ლეტარგიული ძილის შე- ... მდეგ იყო, მიჩრწნილ დედაბრად გადაიქ- ... ცა. გარდაიცვალა 1946 წლის ოქტომბრის ... დამდეგს...

როცა მძინარე გაიღვიძებს

მოგვითხრობს ჟურნალი „ტეხნიკა-მოლოდიოჟი“

მ. ს. ბექაია

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე მელიქსედექ სტეფანეს-ძე ბექაია.

იგი დაიბადა 1887 წელს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. 1907 წელს შევიდა და 1911 წელს დაამთავრა ექვნევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრის სამეცნიერო ხარისხი.

მ. ბექაიამ იმ დროს ცნობილი მეცნიერის ლ. ლიუბარკის ხელმძღვანელობით შეასრულა სადიპლომო შრომა და მიიღო ინჟინერ-ქიმიკოსის წოდება. იქვე პროფ. პ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით დაწერა ნაშრომი, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა, და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1914 წელს მ. ბექაია დაბრუნდა სამშობლოში. რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ბაქომი ქიმიურ ლაბორატორიაში.

1919 წელს მ. ბექაია დიდმა ქართველმა მეცნიერმა პ. მელიქიშვილმა მიიწვია თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიული ქიმიის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. 1926 წელს უნივერსიტეტში პროფ. პ. მელიქიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ტექნიკური ქიმიის კათედრა; მ. ბექაიას მიეხდო ტექნიკური ქიმიის კურსის წაკითხვა, მანვე მოაწყო ტექნიკური ქიმიის ლაბორატორია.

1929 წელს მ. ბექაია არჩეულ იქნა ტექნიკური ქიმიის კათედრის დოცენტად და ერთი წლის შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე, ამავე დროს დაინიშნა ქიმიის ფაკულტეტის დეკანად. 1933 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1935-1940 წლებში მ. ბექაია მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანად. ამავე დროს იგი მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზური ქიმიის კათედრის გამგედ.

პროფ. მ. ბექაიას ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი მაღალკვალიფიციური ქიმიკოსი. მას გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მისი შრომები უმთავრესად ეხება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ნედლეულის შესწავლასა და მის სახალხო მეურნეობაში გამოყენებას. მას ეკუთვნის ფუნდამენტალური გამოკვლევა ფოსფორის განსაზღვრას ქიმიაში, რომელმაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა.

კარგი მეცნიერისა და საუკეთესო აღმზრდელის, სპეტაკი და სათნო ადამიანის მ. ბექაიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
დ. ი. მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოება.

• ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები •

ფაფეგის ტრიუმფი

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

□

რამ მსოფლიოს ჩემპიონს „ტალისებური თამაში“ ვერ გაუბედა. მან თავდადგე თეორებით ახალ ინდურ დაცვაში გეზი აიღო გაცვლებისაკენ, შესაძლებლობის შემთხვევაში კი საყაიმო „ნავთსაყუდელისაკენ“. გაფრინდაშვილმა ჯერ იოლად გაათანაბრა პოზიცია. შემდეგ კი სახიფათო მოქმარა შექმნა. უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული შეუპოვრობა, რომლითაც მძიმე პოზიციაში იცავდა თავს ოიგელი მოკადრაკე. მან მსოფლიოს ჩემპიონს დიდი დაბრკოლებები შეუქმნა. მოუხედავად ამისა, ნონამ მოიგო პაიკი და გადადებულ პოზიციაში მოგების შესაძლებლობები აქვს.

ნანა ალექსანდრია შავებით ხვდებოდა მოსკოვის ორგზის ჩემპიონს, ოსტატ ო. კაკკოვას. ქართველი ნორჩი მოკადრაკე ისე თამაშობდა, თითქოს უკვე არაერთ ასეთ შეჯიბრებაში მიეღოს მონაწილეობა. სიცილიურ დაცვაში ალექსანდრიას შეეძლო მდგომარეობის გამარტივებით ყაიმისათვის მიეღწია, მაგრამ რთული ბრძოლა არჩია. შუა თამაშში კაკკოვა შეეცადა დაელაშქრა შავების მეფის ფრთა და გაუფრთხილებლად დასძრა წინ პაიკები. ამით შესანიშნავად ისარგებლა ალექსანდრიამ და შამათის მოქმარა შექმნა. უკვე უიმედო პოზიციაში მოსკოველი ოსტატი შეეცადა მხედრის დათმობით გაერთულებინა ბრძოლა, მაგრამ ამაოდ. საქართველოს ჩემპიონი ბოლომდე მშვენივრად თამაშობდა და პირველი გამარჯვებაც იზეიმა.

საბჭოთა ქალთა ჩემპიონმა მ. რანიკუს ძველ ინდურ დაცვაში იოლად უკუაგდო ე. ბიშარდის შეტევა. შუა თამაშში ტალინელი ოსტატ ლაზიერით შეიჭრა თეორების განლაგებაში, ზედიზედ მოიგო ორი ფიგურა და პარტიაც. მოსკოვის ჩემპიონმა ე. რუბცოვამ ფიგურის დროებითი შეწირვით უიმედო მდგომარეობაში ჩააყენა ო. ანდრეევა და გაიმარჯვა. რსფსრ-ს ჩემპიონმა ნ. კონოპლიოვასთან ბ. მოსიონეიკ-ს მძიმე შეცდომა მოუვიდა, დებიუტშივე დაკარგა ხარისხი და პაიკი, რის შემდეგ წინააღმდეგობის გაგრძელებას აზრი აღარ ქონდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ორმხრივი შეცდომების შემდეგ ა. ჩაიკოვსკაია უპიკოდ დარჩა და ახლა ყაიმზე უნდა იზრუნოს ო. რუბცოვასთან. ძველი მეტოქეების კ. ზვორიკინასა და ლ. ვოლპერტის შეწყვეტილ პოზიციაში მატერიალურად თანაბარი მდგომარეობაა. რთული პოზიციებია ი. გასპარიანც-უ. კურესა და ა. ერგლე-რ. ვაპნიჩნაიას შეხვედრაში ვ. ბორისენკო-რ. კაზმინას პარტია არ გათამაშებულა.

დღეს მეორე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ანდრეევა-ნახიმოვსკაია, გაფრინდაშვილი-კაკკოვა, ალექსანდრია-ზვორიკინა, ვოლპერტ-ერგლე, ვაპნიჩნაია-ო. რუბცოვა, ჩაიკოვსკაია-ბიშარდი, რანიკუ-ბორისენკო, კონოპლიოვა-გასპარიანცი, კაზმინა-მოსიონეიკი და ე. რუბცოვა-კურე.

გ. გამრეკელი.

ოლიმპიადა

დღეს ბელგრადში

ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი მსოფლიო პირველობის ფინალურ შეხვედრამდე, მაგრამ სხვადასხვა ევროპის ფეხბურთელთა კოლექტივები უკვე ჩაებნენ ბრძოლაში. ეს წინასწარი შეხვედრებია, რომლებმაც უნდა გამოაკვლიონოს დასკვნითი ასპარეზობის მონაწილენი.

საბჭოთა ნაკრებს შესარჩევ შეხვედრებში ბრძოლა მოუხდება საბერძნეთის, დანიისა და უელსის გუნდებთან. მომავალი პასუხსაგები მატჩებისათვის მზადება ჩვენმა ფეხბურთელებმა საერთაშორისო შეხვედრებით დაიწყეს. ადრე მათ უკვე ჰქონდათ რამდენიმე თამაში, ახლა კი ბელგრადში იმყოფებიან და დღეს პაექრობა ექნებათ იუგოსლავიის ნაკრებთან.

იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებს ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივად თვლიან. მას საერთაშორისო ტურნირებსა და ასპარეზობაში მონაწილეობის დიდი ტრადიცია აქვს. იუგოსლავიის ნაკრებში არიან საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელები მცველი იუსუფი, ნახევარმცველი პოპოვიჩი, თავდამსხმელი სკოპლარი და სხვ.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს ბელგრადელები შეუნელებელი ინტერესით მოელიან. ისინი ამ შეხვედრას სეზონის ერთ-ერთ მთავარ პაექრობად თვლიან. ყურადღებას იპყრობს საბჭოთა ნაკრების ახალი შემადგენლობა. როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკიდან მის შემადგენლობაში შეიყვანეს მეტრეველი, მესხი, გ. სიჭინავა („დინამო“) და ურუშაძე („ტორპედო“).

საბჭოთა გუნდის შემადგენლობა ასეთი იქნება: **იაშინი, რიომინი** ან **ლოგოფეტი, შესტერნევი, შუსტიკოვი** ან **მუდრიკი, პონომარიოვი, ვორონინი, სიჭინავა, მატვეევი** ან **ჩისლენკო, სერებრიანიკოვი, მეტრეველი, მესხი.**

თამაშს სჯის რუმინეთის მსაჯთა ბრიგადა. მატჩი დაიწყება 15 საათსა და 45 წუთზე მოსკოვის დროით. ფეხბურთის მოყვარულებს შეუძლიათ მოუსმინონ მეორე ნახევრის ტარსლაციას საკავშირო რადიოს პირველი პროგრამით.

იუგოსლავიელებთან მატჩის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები სოფიას ეწვევიან, სადაც 29 ნოემბერს შეხვდებიან ბულგარეთის ნაკრებს.

საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის სპორტის დამსახურებული ოსტატის **ნ. მოროზოვის** აზრით ბელგრადისა და სოფიის მატჩებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს შეხვედრები გუნდის ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს საბოლოოდ დააკომპლექტოს სსრ კავშირის ნაკრები.

გუქარესტის თასის გათამაშება

ბუქარესტი, 21 ნოემბერი. (საკდესი). „ფლორიასკის“ დარბაზში დაიწყო ბუქარესტის თასის გათამაშება ხელბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ რუმინეთის დედაქალაქის, მოსკოვისა და ბელგრადის ქალთა გუნდები, აგრეთვე ბუქარესტის ახალგაზრდათა ნაკრები გუნდები.

ოლიმპიური ქრონიკა

გუშინ დამატებით მატჩში გამოვლინდა რსფსრ ჩემპიონი ფეხბურთში. ეს ტიტული მოიპოვა „როსტ-სელმაშის“ (დონის როსტოვი) გუნდმა, რომელმაც დაამარცხა გროზნოს „ტერეკი“ 2:0. მომავალ წელს ორივე გუნდი გამოვა „ა“ კლასის მეორე ჯგუფში.

გუშინ მოსკოვის საცურაო აუზში ს. ბელ-ც-გეიმანმა 400 მეტრი ნებისმიერსტილით გასცურა 4 წუთსა და 19,3 წამში და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დამყარა.

ტენისი

ბელგრადის ტურნირი

ბელგრადი, 21 ნოემბერი. (საკ. კორ.). ბელგრადის ტენისის ასოციაციის ... ...